

რეკლამები

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

რედაქცია **კანტორა**

საბაზოთო მასალა უნდა იყოს გაზეთის ფაბრიკის ვართი თვით 20 მან. დაწერილი გარკვეულად და ერთ მ თვით 50 მ. განცხადების ფასი: გვერდზე წერილობითი ან უნდა სტრუქტურის პირველი გვერდი იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.

რედაქცია ღირს: დღის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

კანტორა ღირს: დღის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. ფინანსის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

სიფხვანის ქვედა "მალაქაში" ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მღვდელი ისიდორე სიმონის ძე შორაშოლიანი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უზომო მწუხარებაში მყოფნი შვილები: ვარლამ, სიმონ, კონონი, ნინა, რძლები: კალენია იულოს ასული, მარგარიტა კაზემირის ასული, ეორგოლიანები, ქალიშვილები: ქვირივი ალექსანდრა კახაიას შვილებით. ბელაგია გვგელაშვილისა და სიძე სიმონ პეტრეს ძე გვგელაშვილი შვილებით; რძალი ქვირივი ელენა სტიფანეს ასული, ეორგოლიანისა, ძმები: ნიკოლოზ, იასონ და ლაზარე (მღვდლები) ეორგოლიანები; და ქრისტინა სიმონის ასული შავგულიძისა. დაკრძალვა მოხდება 28 მაისს (ასალი სტილით) დღის 10 საათზე, ქვედა მალაქის ოქანის ეკლესიაში. 1-1

პუტ. მ. დუნდუას ასულის საბალო მართულ გინებაზე პროფ. სიონაშვილი განმარტებით

ამით იცხადებს, რომ მოსწავლეთა შიღვა მაისის 27-დან დაიწყება. მომავალ სამიხსილო წლისთვის გაიხსნება მარტივი

მეექვსე კლასი.

ვაკანსია ყველა კლასებში. იქვე არის გახსნილი საზაფხულო კურსები, სადაც შეისწავლიან სუფთა ხელ საქარს და ფეხსაცმელების გერვის, თხოვნები მიიღება დღის 9-7 საათამდე.

მისამართი: ბალახეანის ქ., ყოფილი სახანო პალატის პირდაპირ. 6-1

ამა წლის 1 ივნისს დილით 12 საათზე ტყიბულის ძვანახვირის მადაროვაში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უმადები ნივთები:

ბოჭკები ხის სხვა და სხვა ზომის, ფურგონები, სავალი ფურნე და სამზარეულო, სახარახოს კალაპოტები, მანქანა საკრავი ფერძისა და სახარახო ეტლის ფარები საქალაქნე ტყავი და ძველი ლაფათები, ფოლადის მავთულის კანატი სხვა და სხვა ზომის, ქლიბები, ვედროები და სხვა და სხვა ექსტის ქურქები.

3-3 ტყიბულის ქვანახვირის მადაროვების სამმართველო.

ეპიმი ბიბოტო ნიკოლოზის ძე ხუსკინიძე ლეზულომ ავადმყოფებს დილით 9-2 საათამდე, საღამოს 4-7 საათამდე, ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24-13

ეპიმი ნ. ა. მხაიძე ლეზულომ ავადმყოფებს დილით 9-3 საათამდე, ივანოვის ქუჩა, დუნიძის სახლი. 24-9

დაგოუადაგლოვის დღე.

დიდის ამბით იუქმა საქართველომ და მოუკიდებლობის დღე.

25 მაისს სოფ. ცხრუკვეთში ვიყავი და დავესწარი ამ დიდი ღვთისმშობლის წინასწარი სამხადისის შესახებ ბეჭებას.

ბეჭობა ჰქონდა სოფლისეგან. არჩეულ საბჭოს, რომელიც ერსადიამევე დროს სამოსამართლოსა და სავამებლო ორგანოს წარმოადგენს.

ეპიმი მედიცინისა საზღვარ გარეული უნივერსიტეტი

ფ. ი. კაკიბაღაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საზარდის (ტრპერი, სიფილისი, ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

განგუშარტე 26 მაისის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ჩემი ლაპარაკი ზედმეტი იყო: საბჭოს თვითეულ წევრს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობა სავსებით შეეცდებოდა ჰქონდა.

საბჭომ დაიდგინა: 26 მაისს ყველა-ცაი და ქალი ძველი ეკლესიის შინაღობზე უნდა შეკრებილიყო და გაემართათ იქ ფერხული, ცეკვა-თამაში სიმღერები და სხ. შემდეგ იქიდან ეროვნული

დროშითა და ქართულის, ხალხური სიმღერებით უნდა წასულიყვნენ დანიშნული ადგილისკენ, სადაც რამდენიმე სოფელს უნდა მოეყარა თავი.

26 მაისს ქუთაისში ვიყავი, ხალხის ასეთი სიხარული და აღფრთოვანება ჯერ არ მინახავს. ან კი როდის ვნახავდი? რუსთ ბატონობის დროს თუ?!

ხალხი ქუჩებში არ ეტეოდა. ჯარისკაცებს მამაკურ სახეებზე სიამაყე, სიხარული და აღფრთოვანება ჰქონდათ გამოხატული.

უიქველია, ასეთივე იქნებოდა დამოუკიდებლობის დღე საქართველოს ყოველ კუთხეში.

აღვიღად ვისაგებია: ხალხი გრძობს, რომ დამოუკიდებლობა—ქონებრივის, გონებრივისა და ზნეობრივი წარმატების, ე. ი. კულტურისა და განათლების, საფუძველია.

მაშ რა ვეღარაფინ გაბედავს სიტყვას: დამოუკიდებლობა უბედურებაა... დიდი საქართველოს ერთი—პოლიტიკურ ერთად შეიქნა. და ამოდ ფიქრობს ვინმე მის დამონებას: იგი თავის დამონებელს არ გაახარებს.

ბევრს შურს საქართველოს ბუნების სიკეთე და მტრები მსოფლიოს წინაშე გააბეჭდებენ, ათასგვარ ცილისწამებასა და ქორს სთხავენ.

მაგრამ ქართველმა ერმა საქართველო განა რამდენიმე ათასი წლის ბრძოლით არ დაიცვა და არ დაიმსახურა?!

საქართველო განა ეგროპას არა სდარაჯობდა აზიის ძღვეთ-მოსილ დამპყრობელთა წინააღმდეგ? საქართველომ არ შენგელო და შეისუსტა სელჯუკების, მონღოლების, ოსმალებისა და სხ. წინსვლის გერგავა?!

ზარბაზოსთაგან გარშემორტყმულმა საქართველომ მეფერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში განა ეგროპიული ცივილიზაცია არ შექმნა?!

და მსოფლიო გენიოს—შოთა რუსთაფელის—წარმომშობი ერთი ნუ თუ მოწყალეობასავით უნდა თხოულობდეს დამოუკიდებლობას?!

ეს დიდი უზიდურობა იქნებოდა! რა ვუყოთ მერე, ჯერ რომ მოუწყობელი ვართ. გამოცდილება სწორ გზას გვიჩვენებს. მაშ ჩვენთვის თავს ნურაფინ შეიწყობებს: ჩვენს თავს ჩვენვე უყუთ მოვუვლით.

ფულის კურსის დაცემა, სანოვაციისა და სხვა ნივთების სიძვირე—ვერ დაგვაბრკოლებს.

ოლონდ კი გზები გახსნას და ნახვენ, რამდენ სიმდიდრეს გამოაფენს საქართველო.

საქართველოს ბუნების წილში მარხია ოქრო, ვერცხლი, რადი, საუკეთესო რკინა, კარგი ლირების ქვანახვირი, შავი ქვა, ცეცხლშეუვალი თიხა, მანდგის დასადნობელი ქურების მასალი, საუკეთესო ბროლი, რომლისგან საუკეთესო შუშა გაკეთდება, სპილენძის მდიდარი

მანდები, ლიტოგრაფიის ქვა საცემენტო ქვა, ვერცხლის წყლის მანდი და სხ. და სხ.

საქართველო მდიდარია აგრეთვე მიწებიდან დაქანებული მდინარეებით, რომელთა შლამით შევსდილია ისე გავაპორობოთ ყანები, რომ პურიცა და სიმინდიც ასი საქართველო გამოეკეობოთ.

იმევე მდინარეთაგან მივიღებთ თეთრ ნახშირს, რომლის საშუალებითაც მოვუნთ საქართველოს რკინის გზებითა და ქარხნებით და გავანათებთ თვითეული ქობს.

მაშ რა უდგია წინ საქართველოს დამოუკიდებლობას? ვისიმე სიხარბე და გაღუშადრობა?!

მაგიერად საქართველო მოითხოვს დამოუკიდებლობის და უკანასკნელი სისხლის წვეთამდის იბრძოდეს დამოუკიდებლობისათვის საერთაშორისო სამართლის ნიშნის სახელით.

მწამს, მსოფლიოს თანაგრძობა—საქართველოსკენ იქნება.

კვარი.

მთავრობაში.

20 მაისის სხდომაზე დადგინდ იქნა: საექიმო სასანიტარო განყოფილების განკარგულებაში 132,333 მან. გადადების შესახებ ათ მილიონიან ფონდიდან. ოლოლას სახელობის საბჭოთა ინსტიტუტის 1918 წ. ხარჯების დასაფარავად დადგინდ იქნა წარმოდგენილ იქნას შინაგან საქმეთა უწყების მიერ დაწერილებითი ცნობები და საბუთები მოხსენებაში აღნიშნული 1918 წელში გაწეულ ხარჯების. საშხდრო სამინისტროს სადამინისტრაციო განყოფილების უფროსის განკარგულებაში 6,347,434 მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ სასანიტარო განყოფილების ხარჯების დასაფარავად დადგინდ იქნა გადაეცეს ფინანსთა მინისტრს დასკვნისთვის.


— გადვიდოს საშხდრო მინისტრის განკარგულებაში 250,000 მან. ჯარისკაცთა სამსახურის გამო გასაგზავნ გადმოსაგზავნ საგზაო ხარჯების დასაფარავათ.

— იმ სტუდენტებს, რომელთაც სამკურნალო ფაქულტეტზე ჩათვლილი იქვს 10 სემესტრი, — მიეცეთ პრაქტიკის ნება: რთვე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი ჩააბარებენ გამოცდებს, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდება გამოცდელი კომისია.

— კანონ პროექტი საოსტატო სემინარიის დამატებითი შტატების მოწოდებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ინვლისური პრესის ცნობები
(საქ. ღებ. სააგენტო)

ივსტრიისთვის საზავო ხელშეკრულება აღბათ სამშობათისთვის იქნება მხათ. ფრქობენ, რომ წინასწარ პირობებს კონფერენციის საერთო სხდომას წარუდგენენ ოთხშაბათს დილით. შემდეგ იმავე დღის



კული, ფრაგრული! რა სისალით ამოძრავდა, განკურნა ძველი წყალული!

და ეს განა გასაკვირველია? „ქაჯეთის ციხე“ დაცვა. ბილწი ქაჯეთი დავებო. ჩვენი „ნესტან-დარეჯანი“ უკვე თავისუფალია; დღემდე სხვის მონა-მორჩილი—ახლა თავის უფალია; დღის სინათლეს მოკლებული თავიდან მისი-კენა სტყვას; მისი გული, განკურნული, ისევ სიყვარულითა სძვრის.

კავკასიის მალაქ ქელზე მიჯაჭულმა ჩვენმა „ამირანმა“ ამოგლიჯა რკინის პალო, შილენ-შოლენა საზიზღარი კირთები და ჩრდილოსკენ გადასტყორცნა; მოიბარჯა შეიღდ ისარი, გულის შეფლეთელ ორბას სტყორცნა და სწორედ გული გაუჭრა და კავკასიონის ქედს გადააცილა.

და ამა, ჩვენს წინა სდგას ჩვენი მძლე-თა-მძლე ამირანი, ღმერთების ურჩი, ისევ მხნე, ისევ გულადი, მტერთა მიმცე-ში რისხვისა.

და ამაზე შეტი ბედნიერება განა შე-საძლებელია?!

იმხიარულე, გულო! დასტები სულო!... შავრამ... ოპ, განგებავ! რა იქნებო-და რომ ჩემს პირად ბედნიერებას ის ერთი ლაქაც არ დასჩენდა, გულის მღრღნელი და მომშამფგელი? რა კარგი იქნებოდა, რომ „მასაც“ გვრძნო საერთო ბედნიერება, თავისი თვლით ენახა „ქა-ჯეთის“ დამხობა და „ნესტარ-დარეჯანის“ განთავისუფლება, რისთვისაც ის მუდამ იბრძოდა და რასაც მან თავიც შეს-წირა?!

მაშინ კი სწორედ უსაზღვრო და უმ-ნიშვნელო იქნებოდა ჩემი პირადი ბედ-ნიერებაც, შავრამ...

დავით ავალიანი.

26 მაისის დღესასწაული

26 მაისი ქუთაისში ზემოთ იღვთსა-წაულია.

საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის წლის თავი ფართო საზოგადოებამ ღირსეულად აღაფსა.

ჯერ კიდევ წინა დღით, 25 ჭიანდა რომ ხვალ არაჩვეულებრივი დღე უნდა ყოფილიყო, ყველა ემზადებოდა, რაღაც-ადენ ყვავილებით, მწვანეფლოვით და გროვულ დროშებით-სახლებსა და და-წესებულებებს. აივანზე გამოჰყავდათ ილე-ქტრონის სინათლე და ქუჩებს საზეიმო სახეს აძლევდნენ.

გათენდა 26 მაისი. მშვენიერი დარი სდგას.

სულ სხვა ფერი სდევს ქუჩებს. სახლები მორთულია სპარსული ხალ-ჩებით და ნახებით. აივანზე ფრიალებს შინდის ფერი გროვული დროშები, ქე-ღლებს ამშვენებს გირლიანდები.

თვითველი სახლი ერთი შეხედვით სა-ქორწინო ლამაზ ქალს მოგაგონებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამაზრო ერობის გამგეობის ბინა. მეორე სართულის აივანიდან მოსჩანს უზარმაზარი სურათი ცხენზე მჯდომი თეთრი გიორგისა, და საქართველოს რესპუბლიკის ღვრბს.

ეს სურათი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, შავრამ ვერ არის მხატვრობა სწორად დაცული.

ერთმა გამგელმა რადესაც ამ სურათს შეხედა იოხუნჯა:—

— ეს ცხენი მაკეთ უნდა იყო.

და ეს ოხუნჯობა სამართლიანი იყო. ქალაქის თეატრის წინ გამოკიდებული არის ვეფხრთელი სურათი: „მამა დავი-თის შთა“ მოსჩანს უკვდავ ილიას და დიმიტრი ყიფიანის ძეგლები.

კარგად იყო მორთული პალიტიკური პარტიების კლუბები, მუშათა კლუბი, სა-მხედრო უფროსის სამართველო, შურწალ-ვახუშტის კანტორა „იმერეთი“, რკინის გზის სადგური, ქალაქის თვითმართველო-ბა, სასწავლებლები და სხვა დაწესებუ-ლებანი.

ედსანიშნავია რომ სოციალისტურ პარტიების კლუბების წინ უხვად ფრიალებდა რევოლუციონური დროშები და გამოკიდებული იყო მარქსისა და სხვა სურათები, რასაც 26 მაისის დღესასწაულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მუშათა კლუბთან კი სადაც ათობათ ფრიალებდა უკვე ფერ წასული წითელი დროშები, არც ერთი გროვული დროშა არ იყო.

არ სჩანდა აგრეთვე ქართველი მწერ-ლების სურათები, იმ მწერლებისა, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლო-ბისათვის იცნებობდნენ და მშობელ ერს ენაცვადნენ.

მხოლოდ გროვულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს და ვახუშტის „ქვე-ყნის“ რედაქციის წინ მოსჩანდა მოხუცი ილიას სურათი, რომელიც შემკობილი იყო საუბოვით გაკეთებული ვარდუვა-ვილებს მტევნებით.

ამ რიგად იყო ერთი თვალის გადავ-ლებით მორთული ქალაქი.

თვით საზოგადოებასაც მორთულობა ემჩნეოდათ, დიდიანვე ქალაქის ბაღისა-კენ რომ მივშურებოდნენ. სადაც სახედ-რო ადგილში უნდა-გამართულიყო.

ხალხი საკაფედრო ტაძართან თავს იფ-რის. ამ დღეს მწირველია მიტროპოლი-ტი ნაზარი ქუთათელი.

წირვის დასრულების შემდეგ 12 საათზე ადღუში იწყება. ხალხით გაქვდილია რე-გორც ბაღი ისე ქუჩები. ჯარი და მოწი-ფე ახალგაზღობა ჩამწკრივებული არიან ქუჩის კიდებზე. უკრავს სამხედრო მუ-სიკა.

სადაც ადღუში იმართება, იქვე სდგას გარეშე საქმეთა მინისტრი, დღესასწაუ-ლის მომწყობი კომისიის წევრები, წარ-მომადგენლები პრესისა და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

აღლუმს გაჩნდნის ფუროსი გენე-რალი ართმელაძე იბარებს, რომელიც ჯარს და დამსწრე საზოგადოებას გრძობიერი სიტყვით მიმართავს, მოკლედ ენება სა-ქართველოს დამოუკიდებლობის გამო-ცხადებას და ქართველი ერის სურვილებს. ამ დროს არქიერის გორიდან მოისმის შვრდჯერ ზარბაზნის ხმა. ხალხი „ვაშას“ გაიძინის. მოისმის ტაში.

გენერალი ართმელაძე ესალმება მინისტრ გემბეჰორსაც.

აღლუმის გათავების შემდეგ დემონსტ-რაცია უნდა წასულიყო მიხეილის ქუჩით გაივლიდნენ ბაღის, ორპირის, პუშკინის, თბილისის და ივანოვის ქუჩებს. ჩამოვი-დოდნენ ისევ ქალაქის ბაღთან, სადაც დე-მონსტრაცია დიშლებოდა, შავრამ სამ-წყურად ეს არ მომხდარა, რაც სადღე-სასწაულო კომისიის სისუსტეს უნდა მიე-წეროს.

სალამოთი ქალაქის ბაღი ოდნავ გან-თებული იყო. ბაღში დიდძალი ხალხი იყო. ქუჩებშიც იყო იყო ტევა. მთელ დამეს გაისმოდა მამხალეების დაუსრულე-ბელი სროლა და მხიარულება.

საერთოთ 26 მაისის დღესასწაულმა ქუთაისში კარგად ჩაიარა, შავრამ რომ შეთაურებს მოედლომებით, შეიძლება უკეთესად ჩატარებულიყო.

დღესასწაულის დადებითი მხარე განსა-კუთრებით ის იყო რომ არ წარმოთქმუ-ლა არც ერთი სიტყვა, რამაც ქუთაისის საზოგადოებას თავი მოაბეზრა.

ჩემი „ტატა“

მისმა სწრაფწარმავალმა სიცოცხლემ მეტეორიკით გაიბრინა ჩემს წინაშე.

შვიდი წელს არ იყო ჯერ ჩემი ცქრი-ლია, ბირჰკინარე, სადომიანი, ჰქვიანი და დამაზი გოგო. ისეთი თავის მოყვანი-ლობა ჰქონდა, რომ იტყოდი, გენია-ლური მქანდაკელობის ხედვით გამოკვთი-ლიაო. შვენიერ სახეს, მაკალივით შავი თვლები და გიშრისფერი ჯავარი წამწამ-წარბებო ამკობდა.

კვრივ, ჩასკენიო, ღონიერი, მოტი-ტინე, მოტყვივე, მომღერალი, მხიარული, დაუდგრომელი, მოთამაშე და მკეთებელი... ასეთი იყო ჩემი „ტატა“.

ყველაზე უფრო ადრე იღვიძებდა. ატი-ტინდებოდა, უამბობდა ღედს წინა დღის ამბებს; ტანს ჩიოცვადო, ქვეშსაგებს და-ლაგებდა.

„ტატა“! მოლო, მოგვეყრები—და-ვუძახებდი.

— დამაკალე, ჯერ არ ჩამიკვამს.

მოიტბენდა და ჩამიდებდა გულში შეე-ნეირ თავს ვუკოცნიდი თავსა და თან ვეყვრებოდი.

— კი ახლა მეტყოდა, გამისხლტე-ბოდა და კვადვიტბადა სათითაოთ ძმა-დებს.

სესახურად რომ შინ ვბრუნდებოდი, მოვეყვრებოდი, სახლიდან რომ მივდიოდი კვლავ ვეყვრებოდი.

ჯედა თუ შინ გვიან დაბრუნდებოდა, ეყვრებოდა და ვაღერსებოდა მძინარე „მარგოს“ დიდხანს, დიდხანს.

და განა ჩართო მშობლებსა და ძმა-ფებს უყვარდათ ჩემი „ტატა“?!

წერა-იოხევა და ხატვა თვითონ ისწავ-ლია. უხაროდა, შემოდგომიდან სკოლაში დავიწყებ საბურუსო.

ზაფხულს სოფელში უნდა წამეყვანა, შინდოდა და ვეშტებოდა მისა ყურებით, ავიღ ვამბობდა. ლოგინში ძლივს ვაჩე-რებდით. შავრამ სწინ თანდათან მოგრიო.

წამლებს ხმაზე უარს არ ამბობდა: ხეჯროდა, შოჯრჩებო. მხოლოდ ერა-თხელ სთქვი სამღურავი: მეუბნებით,— წამალს თუ დაღვე, ადგებო, — შავრამ, ვატყობ, ვეღარ ავღვები და წამალსაც აღარ დავღვეო.

ამ სიტყვებმა გული შოგვიკლა.

დავასიეთ ექიმები, შევაწუხეთ ხშირი გასინჯვით, ნემსების ჩხეღტა... შუბ-ბღ-ბის-მოკლეობა და სხ. შესძულდა ექი-მები. დამეძღურა მეც. ვეწმუდარებოდა თავისი სანდომირი ხმით:

დამანებეთ თავიო.

ბალოს ცნობა დაჰკარგა და დაღუმიდა. ამოა იყო ყოველივე ცდა. სიკვდილს ჩა-უფარდა ხელში.

სამი ღვეღამე ვუყურებდი მის სულთა-ბრძოლას. სიკვდილი ადგილად ვერ მოე-რია! ნორჩი, მოველი, ხელუხლებელი გუ-ლი დიდხანს იბრძოდა.

საშინელი იყო ის დღეები! და საშინელია მწუხარებამ მოიკცა ჩემი სული! ათასჯერ მერჩია, მე მომკვდარიყვი ჩემი „ტატა“ წაცვალად.

შავრამ მჯავრით თავს არ მოვიკლავ. მჯავრს თუ თავი მივეცი, ჩემი სიცოცხლე ხანმოკლე ბუნება. მე კი შინდა, ჩემი „ტა-ტას“ ხსოვნა დიდხანს შევიანბო გულში. მაშ უნდა ვიცოცხლო, რომ მისი ხსოვნა ჯა სიყვარული გულით ვატარო და ჩემს ჩამომავლობას ვუანდერძო.

ეს ჩემი მოკვალეობაა ჩემი „ტატას“ წინაშე.

გასილ წერგთელი.

სასურსათო პრივისი სო-ხეთში.

გრივანიდან საქართველოს მთავრობამ მიიღო შემდეგი დაკვეთა:

„სრული უქონლობაა პურის. მდგო-შარეობა ტრალიკულია. ლტოლვილები და ადგილობრივი მცხოვრებნი იღუბე-ბიან შიმშილისაგან. სომხეთის სასურსა-თო კრიზისი უფრო რთულდება საზოგა-დის ტრანზიტის გადაუტანლობის გამო საქართველოდან. ბათომში მოვიდა გემი ჩვენი ფქვილით ვიმედოვნებ, რომ სა-ქართველოს მთავრობა ყურადიღებს მე-გობრულ მგზობელ სომხეთის მდგომა-რობას და გაუწყეს აუცილებელ დახმა-რებას ბათომიდან ფქვილის გადაზო-ბვაში.“

მინისტრ-თავმჯდომარე ა. ი. ხაჩისოვი, ამ დღეებზე საქართველოს მთავრობის ბაზ გაუგზავნა შემდეგი განცხადება:

„პასუხად თქვენს დეკრეტს 22 მაი-სიდან № 1772 გაცნობებთ: საქართველოს მთავრობამ მიიღო ყოველივე ზღვები, რომ აღმოუჩინოს დახმარება სომხეთის სასურსათო ვაგონების ტრანზიტის საქმე-ში ბათომიდან. ქვემოთ მოყვანილ წინა-ბებიდან შეგიძლიათ დაწმუნდეთ ჩემს შეხედულების სამართლიანობაში: ათი დღით წინ, 12 22 მაისამდე, საქართვე-ლოს მთავრობამ გააგზავნა ბათომში 879 ვაგონი და იმავე დროს მიიღო 877 ვა-გონი, დღეობა ბათომში არის 178 და-ტვირთული ვაგონები, გამზადებულნი გადმოსაწილით, 52 დახურული და 33 „ბორტებიანი“. სამწუხაროთ, ჩვენი წრფე-ლი სურვილი შეგობრულ დახმარებისა ილამბლება ვაგონების შეჩერებით სომ-ხეთის რესპუბლიკის საზღვრებში, რომელსაც ახლო მომავალში შეუძლია დაარ-ღვიოს სწორი გაქანება ვაგონებისა. ამ არსებულ მომენტში სადგურ „სანანისა“ ირიცხება ვაგონების ვალი საქართველოს სახელმწიფო რკინის გზების 13 ორთქლ-მაგალი, 579 დახურულ ვაგონებისა და 254 ცისტერნა. ვადასტურებ, რა ჩემს გულწრფელ სურვილს დავეხმარო სტამ-ხეთის სასურსათო ვაგონების ტრანზიტის საქმეში, მე თქვენ ვთხოვთ მოახდინოთ საჩქარო განკარგულება რომ თავის დრო-ზე კლიდენ და აბრუნებდნენ ვაგონებს, რომელნიც მოდიან სომხეთის რესპუბლი-კის საზღვრებში. № 586. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ყორდანი.“

23 მაისი 1919 წ.

ნ. ჩხეიძის 25 წლის იუბილეს გამო.

თავისუფალნი მოქალაქენო!

ისტორიულმა ბედმა არგუნა ზატარა საქართველოს მიძიმე და საშინელი უღელი რუსთა მონობისა; არ იყო არც ერთი დამტე ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც არ განეცადა საშინელება ამ უცხო ერის ბა-ტონობისა, რასაც აშკარად მიყავდა მთელი ქართველი ერი გადაგვარებისკენ და უქა-დიდა მას მთლიან განადგურებას. ამ გან-საცდელის დროს ქართველი თეატრი იყო ერთ ერთი ოახისი სადაც ჩქეფდა ერის სული და გაისმოდა მისი საუკეთესო მის-წრაფებათა სურვილები.

ერის აღორძინებისათვის დიდი მსახურთა შორის ბრწყინვალე ადგილი ფჭირავს ჩვენ საყვარელ მსახიობ ქალს ნინო ჩხეი-ძეს. წელს შესრულდა 25 წელიწადი მის შემდეგ, როცა პირველად გამოვიდა იგი ქართულ სცენაზე. მიუხედავად მრავალ დამბარკოლებელ პირობებისა, ნინო ჩხეი-ძემ შესწლო თავის მხატვრული ნიჭი სავსებით გადაეშალა და მომხიბლოვი თამა-შით შექმნა განსაკუთრებული განწყობი-ლება ქართულ სცენაზე.

შნ წლის განმავლობაში იწვოდა იგი სცენის სიყვარულის ცეცხლით და დაუ-შრეტელ ენერგიით განაგრძობდა ეკლიან ვაზზე ღამაზ ქანდაკების ჩამოსხმას.

25 წლის განმავლობაში მადლიანი წე-რავებით თლიდა იგი ნაირ სახეებს. გრძელი და ჯადოსნური მწვანე ხსივნე სადაც ანათებენ დატანჯულ, გმირ და უძირო სიყვარულით გამთბარ სახეების ნათელი ნიღაბები.

25 წლის განმავლობაში ხელდააქლო-ბილი გვასეირნებდა იგი და გვიფაქიზებ-და გულს მშვენიერ განცდებით მოკაზ-მულ ხეივანში.



ვის გულში არ აქვითინებულა ნუცას მგრძობიარე ხმები და არ მოუზარავს დაღლილ თავლებსთვის განაწილები (კრემლები)?

ქართველი ვერ დაიფრუვებს შით მოციქულმბრივ სახეებს, ვინც საერთო ქართველობის და დაქვეითების დროს ჩაუბრუნა ჩირაღდებით უძლოდა მას. ჩვენ, გუშინდელ მონებს, დღეს საერთო განახლების და თავისუფლების დროს არ შეგვიძლია მოწიწებით და აღფრთოვანებულ პატივისცემით არ გავიხსენოთ ეს სახელები. ქართული თეატრი ხომ ჩვენში არ ემსახურებოდა იმდენად წმინდა ხელოვნებას, რამდენად ეროვნული სულის და შემტყნების გაღვივებას. ქართული თეატრი ხომ ერთ-ერთი ტაძარი იყო, სადაც ქართველს შეეძლო შესულიყო, დაესვენებია აღლვებულ გული და დაეტკბო სული ქართული სიტყვის სილამაზით.

და ნინო ჩხეიძე შით უფრო სათაყვანებელია ჩვენთვის, რომ მან წმინდა ესთეტიურ სახეების გარდა შეგვიჩინა და გააღვიძა მიძინებული ეროვნულ გრძობა დამონებულ ერის შვილებისა.

ვის არ უნახავს და არ დამტკმარა ნუცას „ხეინაბის“ სახით, ვის გულში არ გამოუწვევია მას წმინდა სიყვარული სა-ქართველოს წარსულისადმი და პატრიოტული გულისცემა სამშობლოს ტანჯვი სათვის?

ვის გულში არ აუნთია „ქეთევანის“ სახელს ვაქცაყური სული ნეტან დარჯანის განსათავისუფლებლად?

ვინ არ მოხიბლულა „მედიას“ ქალური რაინდობით და არ შიარებულა მის გვარ ღვინებულ სიყვარულით? ვის გულში არ აუნმაურებია მას კოლხეთისადმი რომანტიული სიყვარული?

ვინ არ აუტრეზებია ნუცას „მარგარიტა გოტიეს“ პატივსაცემად უფროსი დედა ჩამოთვლის ამ უყვდავ სახეებს, რომ ამ შევენებენ ქართული თეატრის მწვენი ხეივანს.

25 წლის განმავლობაში დაუწყებულ შრომით და მხატვრული გამოცემებით აკოცხლებდა ნუცა ქართულ თეატრს.

25 წლის განმავლობაში ემსახურებოდა იგი ქართულ ხელოვნების ტაძარს და ქართველ ერს.

მარად წვაში და დაუზოგველ სიყვარულში გვიხილავდა ჩვენ იგი შეუდარებელი თამაშით. ქართველი ვერ მოვალეა პირველ ივნისს 25 წლის თავზე გაიხსენოს ამ მადლიანი მოღვაწის სახელი და გამოუტყდეს თავის ღრმა პატივისცემაში.

თავმჯდომარე საიუბილეო კომიტეტისა ივ. პურადაშვილი.

თავმჯდომარის ამხანაგი ანდ. კოსტავა, საიუბილეო კომისიის მდივანი დავით წერეთელი.

წევრები: მ. ვარდოსანიძის ასული, ან. ქავთარაძისა, ნ. ცაგარევილის ასული ნ. ბარათაშვილის ასული, დ. კლდიაშვილი, ალ. გარსევანიშვილი, შ. აფხაიძე, კარ. ბერიძე, ალ. ბოკერია, ალ. თორაძე, გრ. ჯაფარიძე, თ. ქუმბურძიძე, პავლე უზნაძე.

დრ. საზ. გამგ. წევრნი: მ. ლორთქიფანიძე, ელ. მეფისაშვილის ასული, ალ. სანიკიძისა, გრ. აბაყელია, სოსო ასლანიშვილი, ალ. ლოლაძე, დავ. ჩხეიძე, ჯ. ჯორჯიკია.

ქიდავ ხრამილისა და კურსანის აბანოებზე.

როგორც ვწვდით ქუთაისის სამხარო ეროვნულ გამგეობაში ხრამილის და კურსანის აბანოების მუშაობის ხამოართვა გოგირდის წყლის აბანოები და საჯარო ვაჭრობაც დანიშნა, რომ ეს აბანოები იჯარით გავცა.

მაგრამ ვაჭრობა არ შეადგა, რაც ალბათ შემდეგისათვის დაინიშნება.

აქ ერთი რამ არის საყურადღებო. ეროვნულ წარმომადგენელი, რომელსაც შეუფასებია ეს აბანოები და წლიური საიჯარო გადასახადი დაუდგია თვითველ აბანოზე, არ აცნობს ამ აბანოების ღირებულებას, წყლის რაოდენობას და იმ მოგებას რაც მუშაობის შემთხვევაში მიიღებოდა. და ამას უყვლის გაცნობილი თუ არ არის შემფასებელი ისე ფასის დადგენა უსაფუძვლო და უნაყოფო იქნება.

როგორც ვიცით ხსენებული აბანოები შემდეგნაირად შეუფასებიათ: მშ. კურსანოების აბანოები (ხრამილში) 20,000 წლიურად, ქარტაშაძეების აბანო 15000 მანეთად (ხრამილი) ობოლიანების აბანო 3,000 მანეთად (ხრამილი) და უგრეხელების აბანო (კურსანში) 22,000 მანეთად.

ამასთანავე გვჩნდება წარმომადგენელს თვითველ განახე ფასათ დაუდგია მ შინეთი. აქ აღსანიშნავია ერთი რამ: კურსანში და ხრამილში ამ ემად შეშა ისე ძვირია რამ შარტო ერთი ვანა წყლის გათბობა დაჯდება ამდენივე და მეორეს რომ წყალი ძალიან ციკა მოდის გოგირდის აბანოებიდან, რაც ვერ ანახლავს იმ გადასახადსაც კი რომელიც ეროვნულ საიჯაროთ დაუდგია.

ამ დღეებში ხსენებული აბანოები დათვალეირა ეროვნულ გამგეობის წევრმა შ. სანგულიძემ. ეროვნულ ექიმმა შ. ლეფავამ, ინჟინერმა ჩხეიძემ და ექიმმა შესხმა. გამოკვლევის შემდეგ ეს კომისიაც დარწმუნდა რომ ხსენებული აბანოების წყალი მეტად მკურნა.

ეს ყველა ასეა, ცხადია რომ ის საიჯარო გადასახადი, რომელიც ურობს წარმომადგენელმა განსაზღვრა მეტად დიდია და ასეთი დიდი გადასახადის გადახდა ვერც ერთი მოიჯარადრე ვერ გაიღებს, რადგანაც აუცილებლად იზარალებს.

ჩვენის აზრით ამ აბანოებზე საიჯარო გადასახადი ხელახლა უნდა იქნეს გადასანიშნული და სამართლიანი ფასი დაედგას.

სასურველი კი იქნებოდა, რომ ამ აბანოებს იჯარით ისევე ყოფილ მუშაობაზე მისცემდნენ, რადგანაც უფრო კარგადაც მოუვლან და ვადამყოფებსაც უფრო პატივისცემით მიიღებენ. ეს შით უფრო არის ანჯარიშ გასწვრი რომ აბანოების მუშაობის შემთხვევაში თითქმის ყველა ხელეწირო გლეხები არიან და თვითველ აბანოში რამდენიმე ათეულ გლეხს უღებს წილი.

ერობამ და განსაკუთრებით იმ კომისიამ, რომელიც ეს აბანოები დათვალეირა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს, სამართლიანობის პრინციპი არ დაარღვიოს.

და ასე თუ არ მოხდა ის უცხო მოიჯარადრენი რომელნიც ამ აბანოებს აიღებს, არ გაუწვეს მზრუნველობას არც სახლებს და არც სხვა მოწყობილებას, რასაც ამ ემად დიდი შეკეთება სჭირდება, ურობისით ერთი წლის განმავლობაში სახლებიც დაინგრევა, ყველაფერი წახდება და შემდეგისათვის ავადმყოფებს სრულიად წაერთმევათ საშუალება ხსენებული აბანოებით ისარგებლონ.

აი ამისთვის არის საჭირო რომ ხრამილისა და კურსანის აბანოებზე ისევე ყოფილ მუშაობაზე მისცეთ.

X

ქართველ ისრაელთა შორის. „შავი სახადი“ და მისი გავრცელების მიზეზები ქართ-ისრაელთაში.

ერთ ჩემ წინა წერილში ქართ-ისრაელთა უმრავლესობა დავახსილეთ, რომ

როგორც „მწველი“ წყვილია მოცული და ფუნატიკოსობით გაუღნთილი ვლემენტები“ და რომ სმენიათ ეს სიმართლით აღსაყვ სიტყვები ბატონ ხახმებს და მათ საცოდავ მრგვლს, დიდათ განარსებულან ჩემზედ. „როგორ ზედავს მთელი ჯამათის ქრისტიანების თვალში ასე დახასიათებასო!“ — რელიგიას ჩვენ პატრვს ვცემთ, მაგრამ ყველაფერი არ უნდა ენაცვალოს ფუნატიკზს.

მე მოვიყვან ერთ საბუთს, რომელიც ახასიათებს ჩვენს კულტურით დაბლა მდგომ ქართველ ისრაელებს.

აი რა განცხადება დაურიგებიათ ხადხასთვის ამას წინათ ფუნატიკოსებს.

ისრაელთა ქალების საყურადღებოთ.

„თქვენ დეგო და ასულნო ისრაელეებისა, ეს ნაშუუხარო ამბავი, რომელიც შემოებარა საერთოთ ჩვენ ახლო-მახლოს, და უმეტესათ აქ ქუთაისში, რომ მიგიტოვებიათ და შეგიძულეხათ „მიკვე“ (ტეზილა, *) ის რომელიც სათავეში ზღვია ისრაელის წმინდა ჩამომავლობას; ის, რომელიც მოშეს თორაში ჩაყენებულია იმ ცოდვების წრეში, რომლითაც შემცოდე სასჯელს მოიხდის სულით: უმიკვეთ შობიარე დედა-კაცა ზეგრათ უკეთესია, რომ მოხიერობის დროს მოსწყდეს ამ ნათელ შზე და მიუარეს და თავისი ტანიერებით ჩაბაროს შიქს ამგვარი გაჩენილი შვილი“, მანამ, სანამდე შობავდეს და...“

ბატონებო! იგულისხმეთ ეს და ნუ გაუხვევთ იმ ღმერთის დაწესებულებას, რომელმაც ბუნებრივით მოგანაჯთოთ თქვენ, ქალებს, ასეთი ჩვეულება (ნიდაობა) ყველას. გვეს გარეშვა, რომ ეს საუბედურო მოვლენა ახრათ მონებება არაა, არამედ ეს გამოიწვია აუტანელ უსუფთაობამ და სიბინძურემ, რომელიც უპატრონობის გამო მოიპოებოდა „მიკვე“-ში. აი, სწორეთ ამან შეგახიხლოთ და მიგიტოვებიათ „მიკვე“. ახლა ჩვენ მოვალეთ ვცნოთ ჩვენ თავს, რომ ვაცნობთ, რომ რამოდენიმე პირებმა, გულმტკივარე ისრაელეებმა გამოიღეს თავი და საოცარი სიხეულავაჟ და შესაფერისათ შოაწყვეს იგი, იშედიო, რომ აღარ დაარღვეეთ შნში წლის საისრაელთა დაწესებულებას, რომელიც დაწესდა სარა დედა ჩვენის დროიდან, არ წაწყვედთ წმინდა ჩამომავლობას. არ შესცოდებთ და არ შეაცოდებთ თქვენ... და შესაჩულებთ თქვენ წესიერებას.

გთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციო შემდეგ ჩვენ დადგენილებას:

- 1) მიკვეს დენიშნა კანტროლი, რომელსაც ვვადება თვალ-ყური ადგენოს ყოველივე წესიერებას და სისუფთავს.
- 2) წყალი გამოცდვილი იქნება კვირაში ერთხელ. **)
- 3) მიკვეში შესვლა აკრძალული იქნება ყველა შამა-კაცს, გარდა „რომ შამანი-სა, და „იომ ქიფურისა“ და შაბათ დილისა.
- 4) მიკვე დო იქნება ყოველ დღე გარდა შაბათის ვასვლის დამეს (ელუა და მეს).
- 5) „მიკვე“-ში შესვლე იქნება უფასოთ, მხოლოდ დაწესდა წლიური საოჯახო გადასახადი შეძლების დავგარათ.
- 6) მოსამსახურე ქალი ვალდებულია პატივის ცემით მოეპყრას ყოველ დედა-კაცს, განურჩევლოთ მდიდრისა და ღარიბისა“.

აგუდათ ისრაელ მახაჩიკე ადათ.

ამ განცხადების ვაცნობის და შესწავლებას შემდეგ ვინ იქნება, რომ უარყოს ქართ. ისრ. ფუნატიკოსობა და სიბინძურე!

*) „მიკვე“ წარმოდგენს ისეთ შენობას, სადაც ვაქცეობულია ერთი ან ორი დიდი აუზი წყლით სავსე. იქ ტანს იბანენ („განიწმინდებიან“) ქალები მშობიარობის შემდეგ.

***) ხანი ჩვენია. ი. მ. *) ხანი ჩვენია. ი. მ.

რამდენთ საჭიროა რაღაც „მიკვე“ რაჯულის და ებრაელებისთვის, ჩემ დაუწვდომელია და აზრისთვის: სულ ერთია; მაგრამ ეს ისრაელების განწმენდი „მიკვე“ რომ საშინელი ავადმყოფობის გადამდებია ადგილდ იქნება, ყველასათვის ცხადია.

თურმე, წარმოდგინეთ, რამოდენიმე „გულმტკივარე ისრაელებს“ უგრძნით ტეზილის „აუტანელი უსუფთაობა და სიბინძურე“, ამიტომ „თავი გამოუღიათ“ „მიკვეში“ საოცარი სისუფთავის და შესაფერისათ მოწყობისათვის“.

და არ იხილათ როგორ სისუფთავს აწყობენ ეს ვაჭრობები „მიკვე“-ში!

თურმე წყალი კვირაში იცვლება მხოლოდ „ერთხელ“ აი სისუფთავე „გულმტკივარი ისრაელებისა!!“

აი შედეგი სინდლის და ფუნატიკზისა! „მიკვე“ სადაც ერთი კვირის განმავლობაში რამოდენიმე ასეული დედა-კაცი შესარულმბენ თავიანთ „წესიერებას“ ე. ი. ტანს დაიბანენ ნობიერობის შემდეგ. არის შემთხვევები რომ აქვე გადამდებიათ სენით ავთამყოფნიც. „მიკვე“, სადაც მამა კაცებსაც მკონიათ საშუალება განიწმინდონ, ხდება უთუოდ მრავალი ავადმყოფობის ბუდეო, რომლის დამაძლი წყლით იწამლება არა ერთი და ორი ჯანმთელი დედა-კაცი, მრავალი „დები და ასულნი ისრაელებისა!!“

ამის მაგალითები ჩვენ ზევრი ვიცით! თუ საჭირო იქნება კიდევ გამოვაქვეყნებთ.

და რა დროს ხდება ასეთი საშინელგება? — იმ დროს, როდესაც ქუთაისში შივი სახადი (ტიფი) მუსრავს ქართ-ისრა-ბში დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს. მრავალი მშობლები სტირიან უღროვოთ დაკარგულ ქალვას, შვილები დედამასს, ქმარი ცოლს და ცოლი ქმარს. მრავალია იქნებოც, რომელიც ოჯახობით ამომწყვდარან. ქვირე ობლების ტირილი აწუხებს ღმერთსაც და კაცსაც.

ამ საშინელების გავრცელებას კი ხელს უწყობს ავადმყოფების სახლებში შენახვა, მოუვლელობა, სიბინძურე, ერთმანეთში მიმოსვლა, ნარეცხი წლის ქუჩებში და ეზოებში გადასხმა, ტანსამაისის და ლოგინის დაუსუფთაობა: მიკვადებულების ტანსაცმელების ყიდვა გაყიდვა. აი რამოდენიმე სინდლით შექმნილი მიზეზები, რომლებიც ავრცელებენ ავადმყოფებს შავსახადს და არა საღამოების ვამართვა, ბავშვების მყოფობაში მიბარება და სხვა კულტურული მუშაობა.

იმ გარემოებას უნდა მიეცეს უარესი ყურადღება, უნდა შევეცადოთ დაცული იქნეს სისუფთავე. თუ შესაძლებელია უფასო სამკურნალოების — გახსნა და სხვა ასეთი კულტურული და გოგინური ზომების მიღება საჭირო. ეს საქმე კი უნდა მიენდოს შესაფერი სწავლით აღჭურვილ პირთ და არა ვილაც გაუნათლებელ „გულ მატკივარ აგუდათ მახაჩიკელებს“. მერწმუნეთ ბატონო „გულ მტკივრობო“, თუ დროზე არ იქნა მიღებული ქართ. ისრაელთაში შესაფერისი ზომები (კულტურული, რასაკვირველია) მრავალ ისრაელებს უღროვოთ მოედება ბოლი თვისი ვანატიკოსობის და სინდლის წყალობით და მათ ვერც წვერის მოშვება უშველის, ვერც სალოცებში ფულების შეწირვა და ვერც ხახმების თაყვანისცემა.

დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები თორემ შერე შეიძლება ბევრი ცოვალოთ, მაგრამ ვერაფერს გახდებით.

შთაგრობაში და ქალაქის თვითმართველობასაც მართებს ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, რომ მოქალაქენი განუწყველოდ ეროვნებისა და სარწმუნოებისა ჯანმრთელად სცხოვრებდნენ.

ი. მოშიაშვილი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.